პერსპექტივაში - ბრინჯაოს მედლები

როსტოვი. “როსტსელმაშის” სტადიონი. 26 ოქტომბერი.

ასკ (როსტოვი) - “დინამო” (თბილისი) - 0:1 (0:0).

ასკ: ივანოვი, სეროსტანოვი, რომანოვი, კრივობოროდოვი, სინაუ, კორნეევი, ესკოვი, პოპოვი, პროსკურინი, ზინჩენკო, ვასენინი.

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ჭოხონელიძე, პეტრიაშვილი, ასათიანი, კუტივაძე, გავაშელი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მსაჯი: ი. ბოჩაროვი (მოსკოვი).

დუბლიორები - 0:0.

დინამოელებმა სამი ფორვარდი გამოიყვანეს მინდორზე, მაგრამ გუნდი არ დაკმაყოფილდა მხოლოდ ამ მოთამაშეებით - შეტევაში სისტემატურად მონაწილეობდნენ უკანა ხაზების წარმომადგენლებიც. საიერიშო პოზიციაში გადიოდა კუტივაძე, რომელიც მარჯვენა ფლანგიდან ხშირად აწვდიდა ბურთს კარის გასწვრივ და თავადაც ურტყამდა კარში. წინა ხაზზე აქტიურად მოქმედებდა ასათიანი, ამავე დროს რამდენიმე ძალზე სახიფათო გარღვევა შეასრულა ხურცილავამ. პირველი 15 წუთი თბილისელთა დიდი უპირატესობით აღინიშნა. მართალია, ბურთის გასატანი მომენტები მათ ამ პერიოდში არ ჰქონიათ, მაგრამ ცხადი იყო გუნდის განზრახვა: მატჩის მოგება. ახლა, როცა ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება, ყოველ ქულას საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება და როსტოვში გამარჯვება ჩვენს გუნდს ბრინჯაოს მედლების საკმაოდ რეალურ პერსპექტივას უქმნიდა.

შუა ტაიმში თამაში გათანაბრდა. როსტოველთა ნახევარდაცვაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ესკოვი, თავდასხმაში მოფიქრებულად, ეფექტურად თამაშობდნენ ზიმჩენკო და პოპოვი. თბილისელთა მცველებს ძალთა მაქსიმალური დაძაბვით უხდებოდათ ხიფათის ლიკვიდირებისთვის ბრძოლა.

კიდევ უფრო გამწვავდა თამაში შესვენების შემდეგ. თვალსაჩინოდ გააქტიურდა გ. ნოდია. არმიელებს სულ უფრო უჭირდათ ხურცილავას რეიდების უვნებელყოფა.

86-ე წუთზე მასპინძელთა კარში დაინიშნა საჯარიმო. ასათიანმა ბურთი ხურცილავას გაუგორა. ამ უკანასკნელმა ძლიერად დაარტყა კარში. მეკარე ივანოვმა მიუსწრო ბურთს, მაგრამ ვერ შეძლო მისი ხელში შეჩერება. გავაშელმა დროზე აუღო ალღო შექმნილ სიტუაციას და გაიტანა გოლი, რომელმაც ესოდენ საჭირო 2 ქულა მოუტანა თბილისის “დინამოს”.

ნ. ჩხატარაშვილი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

(ჩვენი სპეც. კორ.).

“ლელო” 18 ოქტომბერი, 1969 წ.